Botschaft
der Bundesrepublik Deutschland
Tiflis

დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი

30 Jahre diplomatische Beziehungen



# Deutschland und Georgien

*30 Jahre Diplomatische Beziehungen*

# გერმანია და საქართველო

*დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი*



| Inhaltsverzeichnis | | სარჩევი |
|---|---|---|
| Vorwort | 3 | წინასიტყვაობა |
| Der Genscher-Besuch in Tiflis im April 1992 | 8 | გენშერის ვიზიტი თბილისში 1992 წლის აპრილში |
| Die lange Geschichte der deutsch-georgischen Beziehungen | 14 | გერმანულ-ქართული ურთიერთობების ისტორია |
| 30 Jahre Politische Beziehungen | 20 | პოლიტიკური ურთიერთობების 30 წელი |
| 30 Jahre Kulturbeziehungen | 24 | კულტურული ურთიერთობების 30 წელი |
| 30 Jahre Gesellschaftliche Beziehungen | 34 | საზოგადოებრივი ურთიერთობების 30 წელი |
| 30 Jahre entwicklungspolitische Zusammenarbeit | 42 | განვითარების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის 30 წელი |
| 30 Jahre Wirtschafts-beziehungen | 50 | ეკონომიკური ურთიერთობების 30 წელი |
| 30 Jahre militärische Zusammenarbeit | 56 | სამხედრო თანამშრომლობის 30 წელი |



# Vorwort

Der Besuch von Bundesaußenminister Hans-Dietrich Genscher in Tiflis am 12. und 13. April 1992 war für die Beziehungen der Bundesrepublik Deutschland mit dem wieder unabhängigen Georgien ein starker Start. Dieser Impuls traf auf fruchtbare Grundlagen: In der Geschichte hat sich immer wieder gezeigt, dass ein besonders Interesse aneinander, geradezu eine Faszination, die Menschen beider Länder miteinander verbindet.

Die deutsch-georgische Zusammenarbeit fing früh an und trug in wichtigen Bereichen zur Entwicklung des Landes bei. Sie erstreckt sich auf alle Bereiche des staatlichen Handelns, der Wirtschaft und der Zivilgesellschaft. In Georgien wird sie außer von der Botschaft von einem ganzen Archipel von Organisationen geführt, von denen die meisten staatliche Unterstützung erhalten, die aber alle unabhängig arbeiten. Auf diesen Seiten wollen wir von ihrer Arbeit berichten.

# წინასიტყვაობა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის ვიზიტი თბილისში 1992 წლის 12-13 აპრილს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობები-სათვის დამოუკიდებელ საქართველოსთან კარგ დასაწყისს წარმოადგენდა. ამ იმპულსს ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა: ისტორიიდან ვიცით, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობას აერთიანებს ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ინტერესი და აღფრთოვანება.




*30 Jahre Mauerfall mit Präsidentin Salome Surabischwili und Botschafter Hubert Knirsch*
*© Deutsche Botschaft Tiflis*

*ბერლინის კედლის დაცემის 30 წლის იუბილე საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან და გერმანიის ელჩ ჰუბერტ ქნირშთან ერთად*
*© გერმანიის საელჩო თბილისი*

Wir Deutsche in Georgien sind immer wieder tief berührt von der hohen Wertschätzung, die man unserem Land entgegenbringt. Sie bestärkt uns darin, unser Bestes zu tun und jeder für sich unsere ganz persönlichen Beiträge zu leisten – in Kultur und Wirtschaft, in der Bildung, der Sorge für Natur und Umwelt, für das Zusammenleben in der Gesellschaft, aber auch in der Sicherheitspolitik. Es freut uns, dass immer mehr unserer Landsleute das Reiseland Georgien kennenlernen, dass sie georgische Literatur, georgische Gastlichkeit und andere Ausdrucksformen der georgischen Kultur zu schätzen wissen – vor allem aber immer wieder die Begegnung mit den warmherzigen, geistvollen und vielfältig kreativen Menschen dieses Landes.

In den Jahren um 1992 hat Europa seine östliche Hälfte neu entdeckt. Das Engagement für die Souveränität, die sichere Existenz und für die demokratische und marktwirtschaftliche Entwicklung aller Staaten in Europa wurde zu einem Schwerpunkt der deutschen Außenpolitik. Nirgendwo haben wir bessere Voraussetzungen, um erfolgreich für diese Ziele zu arbeiten als in Georgien.

ქართულ-გერმანული თანამშრომლობა დიდი ხნის წინ დაიწყო და მან თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან სფეროებში. იგი მოიცავს სახელმწიფო სექტორის, ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ყველა სფეროს. საქართველოში ამ თანამშრომლობას საელჩოს გარდა ახორციელებს მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომელთა უმეტესობა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, მაგრამ ყველა მათგანი დამოუკიდებლად მუშაობს. ამ ბროშურაში გვინდა მოგითხროთ მათი საქმიანობის შესახებ.

ჩვენთვის, გერმანელებისთვის საქართველოში, ყოველთვის ძალიან შთამბეჭდავია ის დიდი პატივისცემა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სარგებლობს. ის გვაძლევს მოტივაციას, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთოთ და თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი პირადი წვლილი შევიტანოთ - კულტურასა და ეკონომიკაში, განათლებაში, ბუნებასა და გარემოზე ზრუნვაში, საზოგადოებრივ თანაცხოვრებასა და უსაფრთხოების პოლიტიკაში. მოხარულები ვართ, რომ სულ უფრო მეტი ჩვენი თანამემამულე ეცნობა საქართველოს, როგორც სამოგზაურო ქვეყანას, სულ უფრო მეტი აფასებს ქართულ ლიტერატურას, ქართულ სტუმართმოყვარეობას და ქართული კულტურის გამოხატვის სხვა ფორმებს - მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შეხვედრებს ამ ქვეყნის გულთბილ, ნიჭიერ და მრავალმხრივად შემოქმედებით ადამიანებთან.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპამ ახლიდან აღმოაჩინა თავისი აღმოსავლეთ ნაწილი. აქტიური მოქმედება ევროპის ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობის, უსაფრთხო ცხოვრებისა და დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკური განვითარებისათვის გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებად იქცა. არსად გვქონია საქართველოზე უკეთესი წინაპირობები ამ მიზნების მისაღწევად.

# Der Genscher-Besuch in Tiflis im April 1992

## გენშერის ვიზიტი თბილისში 1992 წლის აპრილში



*Bundesaußenminister Hans-Dietrich Genscher trifft den georgischen Staatsratsvorsitzenden Eduard Schewardnadse © Bundesregierung/Julia Fassbender*

*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი ხვდება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს © გერმანიის ფედერალური მთავრობა/იულია ფასბენდერი*

Mit dem Besuch von Bundesaußenminister Hans-Dietrich Genscher in Tiflis im April 1992 verbindet man in Georgien vieles: die Anfänge der Dritten Republik, den Status als eigenständigen souveränen Staat, die langjährige Freundschaft mit Deutschland.

Als Hans-Dietrich Genscher das unabhängige Georgien damals als erster westlicher Minister besuchte, befanden sich das Land und die gesamte Region im Umbruch. Im Dezember 1991 hatte sich die Sowjetunion offiziell aufgelöst, Georgien hatte schon im April 1991 seine Unabhängigkeit erklärt. Nach mehreren Notenwechseln, in denen Deutschland und andere westliche Staaten der jungen georgischen Republik ihre völkerrechtliche Anerkennung aussprachen, besuchte Genscher am 12. und 13. April 1992 seinen Freund Eduard Schewardnadse in dessen neuer Funktion als Vorsitzender des Staatsrates der Republik Georgien.



ჰანს-დიტრიხ გენშერის ვიზიტს თბილისში 1992 წლის აპრილში საქართველოში ბევრ მოვლენას უკავშირებენ: მესამე რესპუბლიკის დასაწყისს, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს, გერმანიასთან მრავალწლიან მეგობრობას.

Auf dem Besuchsprogramm standen Gespräche mit hochrangigen georgischen Regierungsvertreter*innen, ein Treffen mit dem Patriarchen der Georgischen Orthodoxen Kirche, und: die feierliche Aufnahme diplomatischer Beziehungen am 13. April 1992. Damit war Deutschland das erste Land, das Beziehungen mit dem unabhängigen Georgien aufnahm, und so ein Zeichen setzte für Wandel und Westorientierung des jungen Staates.



Im Gepäck hatte Genscher auch das Beglaubigungsschreiben des ersten deutschen Botschafters in Georgien, Günther Dahlhoff, das von Bundespräsident Richard von Weizsäcker am 10. April ausgestellt worden war. Der Diplomat Dahlhoff war Mitglied von Genschers Delegation in Tiflis, er wurde anschließend der erste akkreditierte Botschafter in Georgien. Der Besuch im April 1992 legte damit den Grundstein für 30 Jahre intensive und erfolgreiche Beziehungen zwischen Deutschland und Georgien.

*Bundesaußenminister Hans-Dietrich Genscher trifft den Patriarchen von Georgien Ilia II.*
*© Bundesregierung/ Julia Fassbender*

*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი ხვდება საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს*
*© გერმანიის ფედერალური მთავრობა / იულია ფასბენდერი*

როდესაც ჰანს-დიტრიხ გენშერი, როგორც პირველი დასავლელი მინისტრი, საქართველოს ეწვია, ქვეყნისთვის და მთელი რეგიონისთვისაც გარდატეხის პერიოდი იდგა. 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა, საქართველომ კი უკვე 1991 წლის აპრილში გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სხვადასხვა ნოტების გაცვლის შემდეგ, რომლებშიც გერმანიამ და დასავლეთის სხვა ქვეყნებმა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება აღუთქვეს, გენშერი 1992 წლის 12-13 აპრილს თავის მეგობარ ედუარდ შევარდნაძეს ეწვია, რომელის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ვიზიტის პროგრამა მოიცავდა შეხვედრებს საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან და ასევე 1992 წლის 13 აპრილს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საზეიმო ცერემონიას. ამგვარად გერმანია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ურთიერთობები დაამყარა დამოუკიდებელ საქართველოსთან და ამით ახალგაზრდა სახელმწიფოს მისცა ბიძგი ცვლილებებისა და დასავლური ორიენტაციისაკენ.

Die enge Partnerschaft beider Länder ist seitdem auch verbunden mit der persönlichen Freundschaft zwischen Hans-Dietrich Genscher und Eduard Schewardnadse. Nachdem sie sich 1985 in Helsinki kennengelernt hatten, pflegten die beiden Politiker einen regelmäßigen, offenen und vertrauten Austausch und gestalteten dabei die Weltordnung nach dem Mauerfall mit. Der Anteil, den der frühere sowjetische Außenminister Schewardnadse an der deutschen Wiedervereinigung hatte, ist in der Bundesrepublik bis heute unvergessen.

Umgekehrt spielte die Freundschaft mit Deutschland eine wegweisende Rolle für den georgischen Unabhängigkeitsprozess. Deutschland und die Deutschen, so schrieb Schewardnadse in seinen Memoiren, wurden schicksalsbedingt zu ständigen Begleitern des georgischen Volks. Hans-Dietrich Genscher wiederum bekam bei einem weiteren Besuch in Tiflis im Jahr 2000 die Ehrenbürgerschaft Georgiens verliehen.

*Bundesaußenminister Hans-Dietrich Genscher und Außenminister Alexander Tschikwaidse bei der Unterzeichnung der Noten zur Aufnahme diplomatischer Beziehungen © Bundesbildstelle/ Julia Fassbender*



გენშერს თან ჰქონდა ასევე პირველი გერმანელი ელჩის გიუნტერ დალჰოფის რწმუნებათა სიგელი, რომელსაც 1992 წლის 10 აპრილს ხელი მოაწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა. დიპლომატი დალჰოფი იყო გენშერის თბილისში ჩამოსული დელეგაციის წევრი და ის გახდა პირველი აკრედიტებული ელჩი საქართველოში. 1992 წლის აპრილის ვიზიტმა საფუძველი ჩაუყარა ოცდაათწლიან ინტენსიურ და წარმატებულ ურთიერთობებს საქართველოსა და გერმანიას შორის.

მას შემდეგ ორივე ქვეყნის მჭიდრო პარტნიორობა ასევე დაკავშირებულია ჰანს-დიტრიხ გენშერისა და ედუარდ შევარდნაძის პირად მეგობრობასთან. 1985 წელს ჰელსინკში გაცნობის შემდეგ ორივე პოლიტიკოსს ერთმანეთთან რეგულარული, ღია და ნდობით აღსავსე ურთიერთობა ჰქონდა და ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ ორივე მონაწილეობდა მსოფლიოს ახალ მოწყობაში. წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიტანა გერმანიის გაერთიანებაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღემდე არ არის დავიწყებული.

თავის მხრივ გერმანიასთან მეგობრობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის პროცესში. თავის მემუარებში შევარდნაძე მოგვიანებით წერდა, რომ ბედმა გერმანია და გერმანელები მისი და მისი ხალხის მუდმივ თანამგზავრებად აქცია. ჰანს-დიტრიხ გენშერს კი თბილისში 2000 წელს მორიგი სტუმრობისას საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ნოტების ხელმოწერისას © გერმანიის ფედერალური მთავრობა/იულია ფასბენდერი*

# Die lange Geschichte der deutsch-georgischen Beziehungen

# გერმანულ-ქართული ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორია



*Deutsche Siedler © Public Archive SOVLAB/Aus der Fotosammlung von Nana Schengelaia*

*გერმანელი კოლონისტები © საჯარო არქივი SOVLAB / ნანა შენგელაიას ფოტო-არქივიდან*

Trotz der geografischen Entfernung sind Deutsche und Georgier*innen einander schon seit langem nicht mehr fremd. Die ersten deutschen Reisenden kamen schon im 18. Jahrhundert. Als Ausgangspunkt intensiverer Beziehungen können die schwäbischen Siedler*innen gelten, die von 1817 an ins Land kamen und vor allem in Kvemo Kartli mehr als zwanzig Siedlungen gründeten. Bis zu ihrer Deportation nach dem deutschen Überfall auf die Sowjetunion waren die Deutschen eine wichtige und wirtschaftlich sehr aktive Bevölkerungsgruppe.

გეოგრაფიული დაშორების მიუხედავად გერმანელები და ქართველები უკვე დიდი ხანია ერთმანეთისთვის უცხოები არ არიან. პირველი გერმანელი მოგზაურები საქართველოში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩამოვიდნენ. ინტენსიური ურთიერ-თობების საწყისად შეიძლება ჩავთვალოთ შვაბი კოლონის-ტები, რომლებმაც 1817 წლიდან დაიწყეს ქვეყანაში ჩამო-სვლა და სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით კი ქვემო

Viele Deutsche kamen aber auch ganz individuell nach Georgien, als Reisende, Wissenschaftler*innen und als Spezialist*innen auf der Suche nach einem Land der unbegrenzten Möglichkeiten. Die Werke deutscher Architekten prägen bis heute die schönsten Straßen und Plätze von Tiflis. Die Brüder Siemens erschlossen Kupfervorkommen und begannen die Präsenz der deutschen Wirtschaft.

Viele der bedeutendsten georgischen Wissenschaftler*innen und Schriftsteller*innen fanden in Deutschland den Zugang zur akademischen Welt Westeuropas. Einige von ihnen gründeten, inspiriert von dieser Erfahrung, die erste Universität Georgiens. So wuchsen Beziehungen, die dazu beitrugen, dass Deutschland 1918 mit diplomatischer und militärischer Präsenz die Unabhängigkeit Georgiens unterstützte, deren Legitimität der Völkerrechtler Franz von Liszt dargelegt hatte. Das „Weimarer" Deutschland unterhielt diplomatische Beziehungen mit der Ersten Republik, die in den Augen von Karl Kautsky als „sozialdemokratische Bauernrepublik" an der Spitze des politischen Fortschritts stand.

ქართლში ოცზე მეტი კოლონია დააარსეს. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ განხორციელებულ დეპორტაციამდე გერმანელები წარმოადგენდნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან და ეკონომიკურად აქტიურ ჯგუფს.

გერმანელები ასევე ინდივიდუალურად ჩამოდიოდნენ საქართველოში, როგორც მოგზაურები, მეცნიერები და სპეციალისტები შეუზღუდავი შესაძლებლობების მქონე ქვეყნის საძიებლად. გერმანელი არქიტექტორების მიერ აშენებული სახლები დღემდე ამშვენებს თბილისის ყველაზე ლამაზ ქუჩებსა და მოედნებს. ძმებმა სიმენსებმა აამოქმედეს სპილენძის საბადოები და საქართველოში გერმანული ფირმების მუშაობას ჩაუყარეს საფუძველი.





*Giwi Margwelaschwili und Ekkehard Maaß*
*© Public Archive SOVLAB/ Aus der Fotosammlung von Giwi Margwelaschwili*

*გივი მარგველაშვილი და ეკეჰარდ მაასი*
*© გივი მარგველაშვილის ფოტო-კოლექციიდან*

Der Zweite Weltkrieg brachte auch im Verhältnis zu Georgien ungezählte kollektive und individuelle Tragödien. Hunderttausende Georgier*innen kämpften und starben auf sowjetischer Seite, andere auf deutscher. Die Deutschen wurden aus Georgien deportiert, viele überlebten dies nicht. Die von deutschen Kriegsgefangenen in Georgien errichteten Bauten sind noch heute zu sehen, an vielen Stellen auch ihre Gräber. Ein junger Mann, Giwi Margwelaschwili, wurde von der sowjetischen Besatzungsmacht aus Berlin in sein ihm unbekanntes Vaterland verschleppt – eine Erfahrung, die

ბევრმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და მწერალმა გერმანიაში მიიღო დასავლური განათლება. ამ გამოცდილებით შთაგონებულმა რამდენიმე მათგანმა საქართველოს პირველი უნივერსიტეტი დააარსა. ასე ვითარდებოდა ურთიერთობები, რამაც თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ 1918 წელს გერმანიამ დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლობით მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის ლეგიტიმურობაც ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა ფრანც ფონ ლისტმა. „ვაიმარის რესპუბლიკის" გერმანიას დიპლომატიური ურთიერთობები

zum Ausgangspunkt eines einzigartigen philosophischen und schriftstellerischen Werkes wurde.

Während die Bundesrepublik nur schwer Beziehungen zu Georgien pflegen konnte – immerhin besuchte Heinrich Böll das Land und schloss mit Saarbrücken die erste Städtepartnerschaft – gedieh in der DDR die Kaukasiologie an der Universität Jena und Schriftsteller wie Adolf Endler konnten ihrem Lesepublikum die Faszination Georgiens nahebringen.

ჰქონდა საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან, რომელიც კარლ კაუცკის აზრით როგორც „გლეხთა სოციალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა“ პოლიტიკური პროგრესის სათავეში იდგა.

მეორე მსოფლიო ომი საქართველოსთან მიმართებაშიც უამარავი კოლექტიური და ინდივიდუალური ტრაგედიის მიზეზი გახდა. ასიათასობით ქართველი იბრძოდა და დაიღუპა საბჭოთა მხარეს, სხვები გერმანულ მხარეს. მოხდა გერმანელების დეპორტაცია საქართველოდან, რასაც ბევრი მათგანი შეეწირა. გერმანელი ტყვეების მიერ აგებული შენობა-ნაგებობები საქართველოში დღესაც მრავლადაა, ასევე ბევრგან არის ამ ტყვეთა სასაფლაოები. ახალგაზრდა გივი მარგველაშვილი საბჭოელებმა ბერლინიდან გაიტაცეს და მისთვის უცნობ სამშობლოში ჩაიყვანეს. ეს იყო მისთვის ის გამოცდილება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მის უნიკალურ ფილოსოფიურ და მწერლობით შემოქმედებას.

მაშინ, როდესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საქართველოსთან ურთიერთობის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა (ამის მიუხედავად ჰაინრიხ ბიოლი ესტუმრა ქვეყანას და ზაარბრიუკენი თბილისის პირველი დაძმობილებული ქალაქი გახდა), გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იენის უნივერსიტეტში კარგად მუშაობდა კავკასიოლოგია, ხოლო მწერლებს, მაგალითად ადოლფ ენდლერს, შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთი მკითხველებისთვის საქართველოდან მიღებული შთაბეჭდილებები გაეცნოთ.





# 30 Jahre deutsch-georgische Beziehungen

## გერმანულ-ქართული ურთიერთობების 30 წელი

# 30 Jahre Politische Beziehungen

Deutschland unterstützt Georgien in seinen Bestrebungen, EU und NATO näher zu kommen. Die Aufnahme in den Europarat, das Partnerschafts- und Kooperationsabkommen mit der EU, das Assoziierungsabkommen und die Einführung der Visumsfreiheit zählen auch für die deutsche Außenpolitik als Erfolge.

In der NATO gehört Deutschland zu den Initiatoren und zu den stärksten Unterstützern des „Substantial NATO-Georgia Package“. Von den 16 Initiativen innerhalb des Pakets werden drei unter deutscher Führung verwirklicht, deutsche Offiziere sind in Georgien tätig.

# პოლიტიკური ურთიერთობების 30 წელი

გერმანია მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებებს, დაუახლოვდეს ევროკავშირსა და ნატო-ს. საქართველოს ევროპის საბჭოში მიღება, ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, ასოცირების შეთანხმება და უვიზო რეჟიმის შემოღება გერმანიის საგარეო პოლიტი-კისთვისაც დიდ წარმატებად ითვლება.

ნატო-ში გერმანია წარმოადგენს „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ინიციატორსა და ერთ-ერთ ყველაზე დიდ მხარდამჭერს. პაკეტის 16 ინიციატივიდან სამი ხორციელდება გერმანიის ხელმძღვანელობით, ხოლო გერმანელი ოფიცრები საქართველოში საქმიანობენ.



Bundespräsident Frank-Walter Steinmeier und Präsidentin Salome Surabischwili 2019 in Georgien
© Bundesregierung/ Jesco Denzel

გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი და საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 2019 წელს საქართველოში
© გერმანიის ფედერალური მთავრობა/იესკო დენცელი

In besonderem Maß setzt Deutschland sich für die Bearbeitung und Lösung der Konflikte um Abchasien und Südossetien ein. Sie haben eine internationale Dimension, sind Teil des Verhältnisses zwischen Georgien und Russland und zwischen Russland und dem Westen. Eine positive Perspektive hängt jedoch nicht zuletzt auch vom Verhältnis zwischen den Menschen ab. Unter schwierigen Umständen gilt es, jede denkbare Möglichkeit zu erkunden. Der deutsche Diplomat Dieter Boden, der im Auftrag der Vereinten Nationen tätig war, legte dem Weltsicherheitsrat einen sorgfältig abgestimmten Plan für eine Regelung der Abchasienfrage vor. Bundesaußenminister Frank-Walter Steinmeier führte 2008 intensive Gespräche, um alle Beteiligten für einen Plan zur Abwendung der Krise zu gewinnen. Deutschland entsendet Personal in die EU Monitoring Mission.



Die höchsten Repräsentant*innen der Bundesrepublik Deutschland, Bundeskanzlerin Angela Merkel und Frank-Walter Steinmeier, nunmehr als Bundespräsident, haben in den letzten Jahren Georgien besucht und das deutsche Engagement für Souveränität und territoriale Integrität bekräftigt. Seit 2018 führen Georgien, Deutschland und Frankreich regelmäßig außenpolitische Konsultationen und stimmen sich zur sicherheitspolitischen Lage und zu Fragen der Annäherung Georgiens an EU und NATO ab.

*Bundeskanzlerin Angela Merkel und Premierminister Mamuka Bachtadse 2018 in Georgien © Bundesregierung/ Jesco Denzel*

*გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე 2018 წელს საქართველოში © გერმანიის ფედერალური მთავრობა/იესკო დენცელი*

გერმანია განსაკუთრებულად იღწვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების გადაჭრისათვის. ეს კონფლიქტები საერთაშორისო დონეზე განიხილება და წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობების ნაწილს. მაგრამ დადებითი პერსპექტივა დიდწილად დამოკიდებულია ასევე ადამიანებს შორის ურთიერთობებზე. მძიმე სიტუაციებში აუცილებელია ყველა შესაძლებლობის განხილვა. გერმანელმა დიპლომატმა დიტერ ბოდენმა, რომელიც გაეროს დავალებით მოქმედებდა, უსაფრთხოების საბჭოს აფხაზეთის საკითხის მოგვარების კარგად გათვლილი გეგმა წარუდგინა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი 2008 წელს აწარმოებდა ინტენსიურ მოლაპარაკებებს, რათა ყველა მონაწილე დაეთანხმებინა კრიზისის თავიდან აცილების გეგმაზე. საქართველოში მოქმედ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში გერმანია აგზავნის პერსონალს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლები - კანცლერი ანგელა მერკელი და ასევე ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, ამჟერად გერმანიის პრეზიდენტის რანგში, გასულ წლებში ვიზიტებით იმყოფებოდნენ საქართველოში და კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის გერმანიის აქტიური ჩართულობა. 2018 წლიდან მოყოლებული საქართველო, გერმანია და საფრანგეთი რეგულარულად აწარმოებენ საგარეო პოლიტიკურ კონსულტაციებს და ათანხმებენ ერთმანეთთან უსაფრთხოების პოლიტიკისა და საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან დაახლოების საკითხებს.

# 30 Jahre Kulturbeziehungen

Deutschland und Georgien blicken auf eine jahrhundertelange gemeinsame Kulturgeschichte zurück. Für zahlreiche deutsche Künstler*innen, Schriftsteller*innen, Architekt*innen und Weltenbummler*innen ist Georgien eine zweite Heimat geworden. Der deutschen Kultur verbundene georgische Denker*innen, Künstler*innen und Wissenschaftler*innen haben ihrerseits deutliche Spuren beim Aufbau des sozialen, politischen und kulturellen Lebens in Georgien hinterlassen. Seit 1993 gibt es dank eines Kulturabkommens auch eine offizielle gemeinsame Grundlage für die bilateralen Kulturbeziehungen.

Neben der Botschaft fördert seit 1994 das Goethe-Institut den kulturellen Austausch. Musik, darstellende Kunst, Literatur, Architektur und Film – die Vielfalt der Kooperationen und Vernetzung der Kulturschaffenden ist beeindruckend. Georgische Filme sind auf der Berlinale vertreten, deutsche Schauspielgruppen glänzen mit Gastspielen bei den Theaterfestivals in Tiflis. Auf Häuserfassaden in ganz Georgien sind Werke deutscher Street-Art-Künstler*innen zu bewundern. Das gemeinsame Musizieren hatte auch während der Corona-Pandemie einen hohen Stellenwert. Einer der Höhepunkte 2021 war der Konzertauftritt deutscher und georgischer Musiker von „Samaia – zwieShen“, bei dem Vokalmusik und Tanz hochvirtuosem Jazz begegneten.

# კულტურული ურთიერთობების 30 წელი

საქართველოსა და გერმანიას აქვთ მრავალსაუკუნოვანი საერთო კულტურული ისტორია. უამრავი გერმანელი ხელოვანის, მწერლის, არქიტექტორისა და მოგზაურისათვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა. გერმანულ კულტურასთან დაკავშირებულმა ქართველმა მოაზროვნეებმა, ხელოვანებმა და მეცნიერებმა დიდი კვალი დატოვეს საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1993 წლიდან კი კულტურის სფეროში დადებული ხელშეკრულების წყალობით არსებობს ორმხრივი კულტურული ურთიერთობების საერთო ოფიციალური საფუძველი.

საელჩოს გარდა კულტურულ ურთიერთობებში 1994 წლიდან ჩართულია ასევე გოეთეს ინსტიტუტი. მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, არქიტექტურა და კინო - შთამბეჭდავია კულტურის დარგში მოღვაწეთა კავშირებისა და თანამშრომლობის მრავალფეროვნება. ქართულ ფილმებს აჩვენებენ ბერლინის კინოფესტივალზე, გერმანული თეატრალური დასები წარმატებით გამოდიან თბილისის თეატრალურ ფესტივალებზე. მთელ საქართველოში ნახავთ ქუჩის ხელოვნების გერმანელი მხატვრების მიერ მოხატულ კედლებს. ერთობლივ მუსიკალურ ღონისძიებებს პანდემიის დროსაც ძალიან ბევრი მსმენელი ჰყავდა. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას 2021 წელს წარმოადგენდა „Samaia–zwieShen“-ის გერმანელი და ქართველი მუსიკოსების კონცერტი, სადაც ვირტუოზულად შესრულებულ ჯაზთან ერთად წარმოდგენილი იყო ვოკალური მუსიკა და ცეკვა.

პანდემიის მიუხედავად შესაძლებელი გახდა საქართველოში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გერმანული წიგნების კოლექციების გამოფენა, რაც წარმოადგენდა გერმანიის წვლილს თბილისისათვის, როგორც 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქისათვის. ეს გახლდათ მადლიერების გამოხატვა 2018 წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის შესანიშნავი პრეზენტაციისათვის. ითარგმნა ქართველი მწერლების 250-ზე მეტი წიგნი. ნინო ხარატიშვილის გერმანულ ენაზე დაწერილ წიგნს „მერვე სიცოცხლე“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი ამასობაში

ასევე ბესტსელერი გახდა. გერმანულ გამომცემლობებში დაიბეჭდა კიდევ ორასამდე წიგნი საქართველოს შესახებ. პუბლიკა არა მხოლოდ ლიტერატურამ აღაფრთოვანა. ბევრი გერმანელი დაინტერესდა საქართველოს კულტურით, ღირს-შესანიშნაობებით და გასტრონომიული შეთავაზებებით. 2019 წელს გერმანიიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვმა 2018 წელთან შედარებით 38%-ით მოიმატა და დაახლოებით 90 ათასს მიაღწია.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის პრეზენტაციას წინ უძღვოდა გერმანია-საქართველოს კულტურის წელი 2017 წელს. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისა და გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩამოსვლის 200 წლის იუბილეები ორივე ქვეყანამ ერთად აღნიშნა მრავალი ღონისძიებით. კონცერტების, გამოფენებისა და საცეკვაო წარმოდგენების გარდა ბოლნისში გაკეთდა სათამაშო მოედანი, რაც წარმოადგენდა ხეზე მომუშავე გერმანელი ხელოვანისა და ადგილობრივი უმუშევარი ახალგაზრდების წარმატებული თანამშრომლობის შედეგს.

Als pandemietauglich erwies sich ebenfalls die Ausstellung deutscher Bücherkollektionen der Frankfurter Buchmesse. Der deutsche Beitrag für Tiflis als Welthauptstadt des Buches 2021 war ein kleiner Dank für den phänomenalen Gastlandauftritt Georgiens in Frankfurt im Oktober 2018. Dieser wirkt bis heute nach. Über 250 Bücher georgischer Schriftsteller*innen wurden übersetzt. Dem in deutscher Sprache verfassten Roman „Das achte Leben" der Autorin Nino Haratischwili gelang der große Durchbruch. Seine georgische Übersetzung ist mittlerweile ebenfalls ein Bestseller. Von deutschen Verlagen erschienen weitere rund 200 Bücher über Georgien. Nicht nur die Literatur begeisterte das Publikum. Viele Deutsche wurden neugierig auf Kultur, Sehenswürdigkeiten und auch das gastronomische Angebot Georgiens. Die Zahl der Tourist*innen aus Deutschland stieg 2019 im Vergleich zu 2018 um 38 % auf fast 90.000 an.





*Georgien als Ehrengast auf der Frankfurter Buchmesse 2018 © Georgian National Book Center*

*საქართველო - საპატიო სტუმარი 2018 წლის ფრანკფურტის წიგნების ბაზრობაზე © ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი*

Die Präsentation Georgiens als Ehrengast bei der Frankfurter Buchmesse folgte auf das deutsch-georgische Kulturjahr 2017. Anlässlich 25 Jahre diplomatischer Beziehungen und 200 Jahre Einwanderung deutscher Siedler*innen in Georgien feierten beide Länder gemeinsam mit zahlreichen Veranstaltungen. Neben Konzerten, Ausstellungen und Tanz entstand auch ein Spielplatz in Bolnisi – die erfolgreiche Zusammenarbeit eines deutschen Holzbildhauers mit arbeitslosen Jugendlichen aus dem Ort.

Bolnisi, das ehemalige Katharinenfeld, repräsentiert die größte dörfliche Kolonie schwäbischer Pietist*innen, die vor 200 Jahren in das heutige Georgien eingewandert sind. Über 400 Gebäude der deutschen Siedler*innen sind erhalten, darunter das ehemalige Dorfschulzenamt. Dank des Engagements des Vereins zur Bewahrung deutschen Kulturguts im Südkaukasus konnte es zwischen 2019 und 2021 aus Mitteln des Kulturerhaltprogramms des Auswärtigen Amts und der Gemeinde Bolnisi instandgesetzt werden.



*Deutsch-Georgisches Kultur- und Begegnungszentrum in Bolnisi © Nestan Tataraschwili*

*გერმანულ-ქართული კულტურისა და ურთიერთობების ცენტრი ბოლნისში © ნესტან თათარაშვილი*

Die Sprache der deutschen Siedler*innen hat ebenfalls Spuren hinterlassen. Bis heute nutzen Georgier*innen Begriffe wie „Butterbroti“ oder „Wunderkindi“. Auch Deutsch als Fremdsprache hat in Georgien eine lange Tradition. Gerade in Kultur- und Wissenschaftskreisen gibt es viele Menschen, die dank des Kindergartenbesuchs bei „deutschen Tanten“ auch zu Sowjetzeiten die Sprache lieben und sprechen gelernt haben. Schon in den frühen 1970er Jahren wurde an einigen georgischen Schulen verstärkter Deutschunterricht angeboten.

ბოლნისი, ყოფილი კატარინენფელდი, წარმოადგენს ყველაზე დიდი კოლონიის ნიმუშს იმ შვაბი პიეტისტებისა, რომლებიც 200 წლის წინ ჩამოსახლდნენ საქართველოში. გერმანელი კოლონისტების 400-ზე მეტი შენობა არის დღემდე შემორჩენილი, მათ შორის მაშინდელი გამგეობის შენობა. სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის წყალობით 2019-2021 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის შენარჩუნების პროგრამისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სახსრების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ამ შენობის რესტავრაცია.



გერმანელი კოლონისტების ენამ ასევე დატოვა თავისი კვალი. ქართველები დღემდე იყენებენ სიტყვებს „ბუტერბროტი“ ან „ვუნდერკინდი“. დიდი ტრადიცია აქვს საქართველოში ასევე გერმანულის, როგორც უცხო ენის სწავლებას. განსაკუთრებით კულტურულ და მეცნიერულ წრეებში მრავლად არიან ადამიანები, რომლებმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გერმანელ „ტანტეებთან“ ისწავლეს და შეიყვარეს გერმანული ენა. 1970-იან წლებში საქართველოს ზოგიერთ სკოლაში უკვე გაძლიერებულად ისწავლებოდა გერმანული ენა.

დღესდღეობით გერმანულ ენას დაახლოებით 26 ათასი მოსწავლე სწავლობს. ინგლისურისა და რუსულის მერე გერმანული ყველაზე პოპულარული უცხო ენაა. გოეთეს ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს ენის კურსების გარდა სთავაზობს სასწავლო მასალას, ტრენინგებს და სტიპენდიებს სკოლებისა და მასწავლებლების დასახმარებლად. საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირი წარმოადგენს 440-ზე მეტი სკოლის 600-ამდე მასწავლებლის დამაკავშირებელ და ინტერესების გამტარებელ გაერთიანებას.

Heute lernen rund 26.000 Schüler*innen Deutsch. Nach Englisch und Russisch ist es die am häufigsten gelernte Fremdsprache. Das Goethe-Institut bietet neben Sprachkursen auch Lehrmaterial, Fortbildungen und Stipendien zur Unterstützung von Schulen und Lehrer*innen an. Der georgische Deutschlehrerverband ist Forum für Austausch und Interessenvertretung für die rund 600 Deutschlehrer*innen an über 440 Schulen.

15 dieser Schulen sind Teil der vom Auswärtigen Amt 2008 ins Leben gerufenen Initiative „PASCH-Schulen: Partner der Zukunft“. Sie zeichnet verstärkter Deutschunterricht und ein besonders aktives Austausch- und Kulturprogramm aus. Bei Veranstaltungen wie der Deutscholympiade oder im Sommercamp zum Klimawandel kommen die Deutschkenntnisse auch außerhalb der Schulen zum Einsatz.

Zwölf dieser Schulen werden von der Zentralstelle für das Auslandsschulwesen betreut, dort unterrichten aus Deutschland entsandte Lehrer*innen und mehr als 9200 Schüler*innen lernen für das Deutsche Sprachdiplom. Wer diese Prüfung in der zweiten Stufe besteht, hat die für ein Studium an einer deutschen Hochschule erforderlichen Sprachkenntnisse.

ამ სკოლებიდან 15 სასწავლო დაწესებულება ჩართულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2008 წელს დაწყებულ ინიციატივაში „PASCH-სკოლები: მომავლის პარტნიორები“. ამ სკოლებს აქვთ განსაკუთრებულად აქტიური გაცვლითი და კულტურული პროგრამა და მათში გერმანული ენა გაძლიერებულად ისწავლება. ისეთ ღონისძიებებზე, როგორებიცაა გერმანული ენის ოლიმპიადა ან კლიმატის ცვლილებების თემატიკაზე გამართული საზაფხულო ბანაკი, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, გერმანული ენის ცოდნა სკოლის ფარგლებს გარეთაც გამოიყენონ.

ამ სკოლებიდან თორმეტს კურირებს საზღვარგარეთ სასკოლო სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყება, იქ მუშაობენ გერმანელი მასწავლებლები და 9200-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს ენას გერმანული ენის დიპლომის მისაღებად. ამ გამოცდის მეორე საფეხურის წარმატებით ჩაბარება ნიშნავს გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისათვის აუცილებელ დონეზე ენის ფლობას.

2010 წელს გერმანულ-ქართულმა მშობელთა ინიციატივამ რვა პირველკლასელთან და საბავშვო ბაღის პატარა ჯგუფთან ერთად დააარსა „თბილისის საერთაშორისო გერმანული სკოლა“. დღეს უკვე 26 მასწავლებელი გერმანულად ასწავლის 198 მოსწავლეს, ხოლო საბავშვო ბაღში 60 ბავშვს ცხრა აღმზრდელი ჰყავს. 2017 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი შენობა თბილისის განაპირა მწვანე უბანში. სკოლა ამაყობს იმით, რომ 2020 წელს გერმანიიდან ჩამოსულმა ფედერალურმა კომისიამ ამ დაწესებულებას მიანიჭა „საზღვარგარეთ



2010 gründete eine deutsch-georgische Elterninitiative mit acht Erstklässler*innen und einer kleinen Kindergartengruppe die „Deutsche Internationale Schule Tbilissi“. Heute unterrichten 26 Lehrer*innen in der gemeinsamen Bildungssprache Deutsch 198 Schüler*innen; neun Erzieher*innen betreuen 60 Kinder im Kindergarten. Seit 2017 verfügt die Deutsche Internationale Schule Tbilissi über ein eigenes Schulgebäude in grüner Stadtrandlage und ist stolz, nach einer Bund-Länder-Inspektion im Jahr 2020 das Gütesiegel „Exzellente Deutsche Auslandsschule“ zu führen. 2022 absolvieren erstmalig acht Schüler*innen deutsche Abiturprüfungen in Georgien.

უმაღლესი დონის გერმანული სკოლის“ წოდება. 2022 წელს პირველად რვა მოსწავლე ჩააბარებს საქართველოში აბიტურის (გერმანიაში უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის აუცილებელი სასკოლო დიპლომის) გამოცდებს.

განათლებისა და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება არის გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD), რომელიც საქართველოში 1988 წლიდან მუშაობს. მას 2004 წლიდან აქვს თბილისში საინფორმაციო ცენტრი, ხოლო 2022 წელს DAAD-ი ოფიციალურად გახსნის ახალ ფილიალს, რომელიც საქართველოსთან ერთად მოემსახურება ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს. DAAD-ი უმაღლესი განათლების საკითხებში კონსულტაციების გარდა ყოველ წელს გასცემს სტიპენდიებს სტუდენტებისა და მეცნიერებისათვის გერმანიიდან და საქართველოდან შესაბამის ქვეყანაში სწავლისა და კვლევებისათვის. DAAD-ის ორი ლექტორი მუშაობს თბილისის და ქუთაისის უნივერსიტეტების გერმანისტიკის მიმართულებებზე.

გერმანიისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის არსებობს ასზე მეტი თანამშრომლობა. განსაკუთრებული მეცნიერული კავშირები აქვთ იულიხის საკვლევი ცენტრის მეცნიერებს საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებისა და

Eine weitere für die Bildungs- und Hochschulkooperation wichtige Institution ist der Deutsche Akademische Austauschdienst (DAAD). Er ist in Georgien seit 1988 vertreten, seit 2004 mit einem Informationszentrum. 2022 eröffnet der DAAD offiziell eine neue Außenstelle, von der neben Georgien auch Armenien und Aserbaidschan betreut werden. Neben der Beratung im Hochschulbereich vergibt der DAAD jährlich Stipendien für Studierende und Wissenschaftler*innen aus Deutschland und Georgien für einen Aufenthalt im jeweils anderen Land. Zwei Lektorinnen des DAAD sind an den Germanistikabteilungen der Universitäten in Tiflis und Kutaissi im Einsatz.

Es gibt über 103 Kooperationen zwischen deutschen und georgischen Hochschulen. Eine besondere wissenschaftliche Brücke verbindet Wissenschaftler*innen vom Forschungszentrum Jülich mit Kolleg*innen verschiedener georgischer Institutionen und Universitäten. Begonnen hat alles ganz klein 1992 mit einem persönlichen Kontakt zwischen zwei Professoren. Heute ist die „Georgian German Science Bridge“ starke Grundlage für Forschungsprojekte mit neuen Technologien und die Förderung des wissenschaftlichen Nachwuchses. Deutsche Partner haben sich auch an der Ausgestaltung der Studiengänge für die „Kutaisi International University“ beteiligt.

In der Wissenschaft gibt es etliche Felder, in denen deutsche und georgische Professor*innen zusammenarbeiten oder im jeweils anderen Land wichtige akademische Beiträge leisten. Ein Beispiel dafür ist die Archäologie. Expert*innen des Deutschen Archäologischen Instituts (DAI) haben beispielsweise sehr erfolgreichen Anteil an Grabungen und der Erforschung der prähistorischen Bergbauregion in Südgeorgien oder des frühesten Neolithikums in Georgien.





*Musik-Tanz-Projekt Samaia in Tsinandali © Projekt Samaia*

*მუსიკისა და ცეკვის პროექტი სამაია წინანდალში © პროექტი სამაია*

უნივერსიტეტის კოლეგებთან. ყველაფერი 1992 წელს ორი პროფესორის პირადი კონტაქტით დაიწყო. დღეს კი „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი“ წარმოადგენს მყარ საფუძველს ახალი ტექნოლოგიებით მიმდინარე საკვლევი პროექტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობისათვის. გერმანელი პარტნიორები მონაწილეობდნენ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესშიც.

ქართველი და გერმანელი პროფესორები თანამშრომლობენ სხვადსხვა სამეცნიერო დარგებში, ან შესაბამისად მეორე ქვეყანაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ აკადემიურ სფეროში. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს არქეოლოგია. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (DAI) ექსპერტებს განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი სამხრეთ საქართველოში მდებარე პრეისტორიული სამთო რეგიონის და საქართველოში ყველაზე ადრეული ნეოლითის ხანის გათხრებისა და კვლევის საქმეში.

# 30 Jahre gesellschaftliche Beziehungen

Die lebhaften Beziehungen zwischen unseren beiden Ländern wären nicht denkbar ohne das ganz persönliche Engagement vieler Menschen. So entstand 1975 die erste Städtepartnerschaft einer damals westdeutschen und sowjetischen Stadt zwischen Tiflis und Saarbrücken. Eine weitere sehr lebendige kam 1987 zwischen Telawi und Biberach an der Riß dazu. Vereine und Interessensgemeinschaften engagieren sich auch in zahlreichen weiteren deutschen Städten für Georgien.

## საზოგადოებრივი ურთიერთობების 30 წელი

ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ცოცხალი ურთიერთობები წარმოუდგენელი იქნებოდა მრავალი ადამიანის პირადი ჩართულობის გარეშე. ასე დაარსდა პირველი პარტნიორობა ქალაქებს შორის 1975 წელს, როდესაც მაშინდელი დასავლეთ გერმანიის ქალაქი ზაარბრიუკენი და საბჭოთა ქალაქი თბილისი დაძმობილებულ ქალაქებად გამოცხადდა. 1987 წელს კი ამ ურთიერთობებს თელავსა და ბიბერახს შორის პარტნიორობა დაემატა. კავშირები და ინტერესთა გაერთიანებები ასევე ბევრ სხვა გერმანულ ქალაქში საქმიანობენ საქართველოს საკეთილდღეოდ.

მრავალი ორმხრივი პროექტი პირად მეგობრობასა და ადამიანებს შორის კავშირებზეა დაფუძნებული. გარდა ამისა ფაქტია, რომ ბევრი ქართველი და გერმანელი სიყვარულის გამო ცხოვრობს მეორე ქვეყანაში, რადგან საკონსულოში ოჯახის შეერთების მიზნით შემოტანილი სავიზო განაცხადების რაოდენობა მუდმივად დიდია. ბევრი ასეთი წყვილი აქტიურად არის ჩართული ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში. ამის მაგალითს წარმოადგენს კულტურისა და განათლების გერმანულ-ქართული კავშირი გეორგიკა, რომელიც მრავალ





*Biographischer Salon der Berghof-Stiftung in Kutaissi © Berghof-Stiftung*

*ბერგჰოფის ფონდის ბიოგრაფიული სალონი ქუთაისში © ბერგჰოფის ფონდი*

Aus vielen bilateralen Projekten sprechen persönliche Freundschaften und zwischenmenschliche Verbindungen. Sicher ist, dass viele Deutsche und Georgier*innen auch der Liebe wegen im jeweils anderen Land leben, denn die Nachfrage im Konsulat für Visa zum Familiennachzug bleibt anhaltend hoch. Viele dieser Paare engagieren sich stark für den Austausch zwischen den beiden Ländern. Beispiele dafür sind der Deutsch-Georgische Verein für Kultur und Bildung, Georgica e.V., der zahlreiche Aktivitäten im Raum Frankfurt und Umgebung organisiert, oder auch auf den deutschen Markt spezialisierte Reiseunternehmen in Georgien.

აქტივობას აწყობს ქ. ფრანკფურტსა და მის შემოგარენში, ასევე გერმანულ ბაზარზე ორიენტირებული ტურისტული ბიუროები საქართველოში.

საქართველოში გერმანული ეთნიკური უმცირესობის კულტურული იდენტობის შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს გერმანელთა ასოციაცია „აინუნგს“. იგი ჯერ კიდევ მინისტრ ჰანს-დიტრიხ გენშერის ვიზიტამდე დაარსდა 1991 წლის აგვისტოში.

Einen wichtigen Beitrag zum Erhalt der kulturellen Identität der Angehörigen der deutschen Minderheit in Georgien leistet die Assoziation der Deutschen Georgiens „Einung”. Sie wurde noch vor dem Besuch von Minister Genscher gegründet, im August 1991.

Die Evangelisch-Lutherische Kirche in Georgien und dem Südlichen Kaukasus (ELKG) knüpft an die Geschichte der deutschen Siedler*innen an. Zu ihr gehören heute Menschen mit unterschiedlichem ethnischen und sprachlichen Hintergrund. Es gibt Gemeinden in Tiflis, Rustawi, Gardabani, Bolnisi, Borjomi, Asureti, Suchumi sowie in Eriwan und Baku. Ihr Diakonisches Werk in Georgien leistet Hilfe für Menschen in Not, betreibt ein kleines Altenheim und einen häuslichen Pflegedienst und versorgt rund 150 alte und hilfsbedürftige Menschen in Tiflis und in der Region Duscheti.

ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში უკავშირდება გერმანელი მოსახლეების ისტორიას. მის მრევლში დღესდღეობით სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები არიან გაერთიანებული. არსებობს სამრევლოები თბილისში, რუსთავში, გარდაბანში, ბოლნისში, ბორჯომში, ასურეთში, სოხუმში და ასევე ერევანსა და ბაქოში. მისი დიაკონური სამსახური ეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს და ახორციელებს შინმოვლის საქმიანობას, საჭირო პროდუქტებით ამარაგებს 150 მოხუცებულს და სოციალურად დაუცველ ადამიანს თბილისსა და დუშეთის მუნიციპალიტეტში. მას ასევე აქვს მოხუცთა მცირე თავშესაფარი.

განსაკუთრებით სასიხარულოა ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების დიდი ინტერესი მეორე ქვეყნის მიმართ. გერმანია ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა ქართველი სტუდენტებისთვის. სკოლებისა და უნივერსიტეტების გარდა კულტურული დაწესებულებები ქუთაისსა და ზუგდიდში ატარებენ გერმანული ენის გაკვეთილებს და ეხმარებიან ახალგაზრდებს გერმანიის შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

2005 წლიდან პოლიტიკით დაინტერესებულ და უმაღლესი განათლების მქონე 80 ქართველს შესაძლებლობა ჰქონდა, გერმანიის პარლამენტის წევრის ოფისში გაცნობოდა გერმანულ საპარლამენტო სისტემასა და პოლიტიკური გადა-





*Graffiti des Berliner Künstlers Armin Eßer beim Niko Street Art Festival in Tiflis © Niko Street Art Movement*

*ბერლინელი ხელოვანის არმინ ესერის გრაფიტი ქუჩის ხელოვნების ფესტივალზე „ნიკო“ თბილისში © ნიკო და ქუჩის ხელოვნების მოძრაობა*

Besonders erfreulich ist auch das große Interesse junger Menschen am jeweils anderen Land. Deutschland ist das beliebteste Zielland für georgische Studierende. Neben Schulen und Universitäten unterrichten Kulturgesellschaften in Kutaissi und Zugdidi Deutsch und unterstützen junge Leute mit Informationen zu Deutschland.

Seit 2005 konnten über 80 politisch interessierte Hochschulabsolvent*innen aus Georgien bei einem Mitglied des Deutschen Bundestages das deutsche parlamentarische System und politische Entscheidungsprozesse kennenlernen. Das Internationale Parlamentsstipendienprogramm des Deutschen Bundestags vermittelt und finanziert den mehrmonatigen Aufenthalt.

Junge Deutsche bekommen dank der Freiwilligenprogramme „Kulturweit“ des Auswärtigen Amts und „Weltwärts“ des Bundesministeriums für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung durch ihren Einsatz in Schulen und Sozialeinrichtungen einen tiefen Einblick in die georgische Gesellschaft und vermitteln ihrerseits einen Eindruck von Deutschland in Georgien.



*Graffiti des deutschen Künstlers Christoph Hässler beim Niko Street Art Festival in Batumi*
*© Niko Street Art Movement*

*გერმანელი ხელოვანის კრისტოფ ჰესლერის გრაფიტი ქუჩის ხელოვნების ფესტივალზე „ნიკო“ ბათუმში*
*© ნიკო და ქუჩის ხელოვნების მოძრაობა*



Die politischen Stiftungen von vier deutschen Parteien sind in Tiflis vertreten. Sie tragen zum Aufbau und zur Ausgestaltung der Demokratie und Zivilgesellschaft in Georgien bei.

Das Auswärtige Amt fördert kulturelle und bildungspolitische Projekte von Organisationen der Zivilgesellschaft in Ländern der Östlichen Partnerschaft. Ziel ist es, diese Organisationen als Partner staatlichen Handelns zu stärken und dadurch die andauernden Transformationsprozesse zu unterstützen. Ob Frauenclub, Friedensjournalismus, Kindertheater oder Netzwerk für Partnerstädte – in Georgien und in der Region belebt jedes Jahr eine bunte Palette an Aktivitäten den zivilgesellschaftlichen Austausch.

წყვეტილებების მიღების პროცესებს. გერმანიის ბუნდესთაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამა აფინანსებს მათ რამდენიმეთვიან ვიზიტს გერმანიაში.

გერმანელი ახალგაზრდები გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხალისეთა პროგრამის „Kulturweit“ და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მოხალისეთა პროგრამის „Weltwärts“ ფარგლებში მუშაობენ სკოლებსა და სოციალურ დაწესებულებებში და ამით საფუძვლიანად ეცნობიან ქართულ საზოგადოებას და თავის მხრივ ქართველებს აცნობენ გერმანიას.

თბილისში წარმოდგენილია გერმანიის ოთხი პოლიტიკური პარტიის ფონდი. მათ წვლილი შეაქვთ საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტებს კულტურისა და განათლების პოლიტიკის სფეროში. პროექტების მიზანია ამ ორგანიზაციების, როგორც სახელმწიფო სისტემის პარტნიორების გაძლიერება და ამით ტრანსფორმაციის პროცესების ხელშეწყობა; იქნება ეს ქალთა კლუბი, სამშვიდობო ჟურნალისტიკა, საბავშვო თეატრი თუ პარტნიორი ქალაქების ქსელი. ყოველ წელს აქტივობების მრავალფეროვანი პალიტრა

Ein weiteres Förderprogramm „zivik“ unterstützt zivile Akteure dabei, friedliche gesellschaftliche und politische Systeme zu schaffen und zu stabilisieren. Ein Schwerpunkt in Georgien liegt auf Austausch und Versöhnung zwischen Menschen auf beiden Seiten der Verwaltungslinie zwischen Abchasien und dem übrigen Georgien – zum Beispiel durch die von der deutschen Berghof-Stiftung organisierten „Biographischen Salons“.

Die Deutsche Welle Akademie engagiert sich seit 2014 für die Förderung von unabhängigem und professionellem Journalismus in Georgien. In verschiedenen Projekten bildet sie Medienschaffende privater und staatlicher Sender fort. Ein besonderes Augenmerk liegt auf lokalen Medien in ländlichen Gebieten, die ihr Programm in Minderheitensprachen wie Ossetisch oder Aserbaidschanisch senden. Ein wichtiges Anliegen ist es, die Berichterstattung für und über ethnische, sprachliche und religiöse Minderheiten zu verbessern und so auch deren landesweite Sichtbarkeit zu erhöhen.

Deutsch-georgische Nachrichten und Ereignisse wiederum finden sich im Webarchiv „Zukunft erben“ der georgischen Nichtregierungsorganisation Sovlab (http://german-georgian.archive.ge/de). Und nicht zuletzt trägt die 1906 gegründete Zeitung „Kaukasische Post“ auch heute mit Nachrichten und Informationen zum gesellschaftlichen Austausch zwischen Georgien und Deutschland bei.

საქართველოსა და რეგიონში სამოქალაქო საზოგადოებრივ ურთიერთობებს ააქტიურებს.

ხელშეწყობის კიდევ ერთი პროგრამაა „zivik“, რომელიც სამოქალაქო სფეროს წარმომადგენლებს ეხმარება სამშვიდობო საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის შექმნასა და სტაბილიზაციაში. საქართველოში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის არსებული ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთობა და მათი შერიგება - მაგალითად ბერგჰოფის გერმანული ფონდის მიერ ორგანიზებული „ბიოგრაფიული სალონების“ საშუალებით.

დოიჩე ველეს აკადემია 2014 წლიდან საქართველოში ხელს უწყობს დამოუკიდებელ და პროფესიონალურ ჟურნა-





Schüler*innen aus PASCH-Schulen beim Wissensparcours im Botanischen Garten Tiflis
© Angela Schmidt/ Diana Tsotsoria

PASCH-სკოლების მოსწავლეები ცოდნის პარკურისას თბილისის ბოტანიკურ ბაღში
@ანგელა შმიდტი/ დიანა წოწორია

ლისტიკას. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში იგი კერძო და სახელმწიფო მედიის წარმომადგენლებს სთავაზობს კვალიფიკაციის ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივ მედიასაშუალებებს რეგიონებში, რომლებიც პროგრამებს უმცირესობების ენებზე, მაგ. ოსურად ან აზერბაიჯანულად გადმოსცემენ. მის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობებისთვის და მათ შესახებ მაუწყებლობის გაუმჯობესება და ამით მათი ქვეყნის მასშტაბით ცნობადობის ამაღლება.

გერმანულ-ქართული ამბებისა და მოვლენების ნახვა ასევე შესაძლებელია ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია Sovlab-ის ვებ-არქივში „მომავლის მემკვიდრეობა“ (http://german-georgian.archive.ge/ka). 1906 წელს დაარსებულ გაზეთს „Kaukasische Post“ ახალი ამბებისა და სხვადასხვა ინფორმაციის საშუალებით დღესაც წვლილი შეაქვს საქართველოსა და გერმანიას შორის საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

# 30 Jahre entwicklungspolitische Zusammenarbeit

Die entwicklungspolitische Zusammenarbeit war von Anfang an ein Kernstück der deutsch-georgischen Beziehungen. Als nur wenige Monate nach der Aufnahme der diplomatischen Beziehungen 1992 der Abchasien-Krieg ausbrach, leistete Deutschland schnelle und sichtbare Hilfe. Viele Familien in Tiflis erinnern sich noch heute an die Pakete, die sie damals monatlich aus der Partnerstadt Saarbrücken erhielten. Im schweren Nachkriegswinter 1993/1994 setzte sich Hans-Dietrich Genscher im EU-Kreis dafür ein, dass Georgien Hilfen in Höhe von heute umgerechnet 70 Mio. Euro bekommen konnte.

# განვითარების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის 30 წელი

განვითარების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა თავიდანვე იყო გერმანულ-ქართული ურთიერთობების ძირითადი ასპექტი. როდესაც 1992 წელს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან რამდენიმე თვეში აფხაზეთში ომი დაიწყო, გერმანიამ სწრაფი და ეფექტიანი დახმარება გაუწია საქართველოს. ბევრ ოჯახს თბილისში დღესაც ახსოვს ის ამანათები, რომლებსაც ისინი ყოველთვიურად პარტნიორ ქალაქ ზაარბრიუკენიდან იღებდნენ. 1993-1994 წლებში, ომის შემდგომი ზამთრის რთულ პერიოდში ჰანს-დიტრიხ გენშერმა ევროკავშირის წრეებში ხელი შეუწყო იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომლის შედეგადაც საქართველომ დღევანდელი კურსით დაახლოებით 70 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების მიღება შეძლო.





*Verbesserung der Wasserinfrastruktur in Batumi*
*© KfW-Bildarchiv/ Rendel Freude*

*წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბათუმში*
*© გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის ფოტო-არქივი/ რენდელ ფროიდე*

1990 წლებიდან საქართველო განვითარების სფეროში თანამშრომლობის კუთხით გერმანიის ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა გახდა. გერმანია საქართველოს მხარში უდგას პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესებში და ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. 1992 წლიდან გერმანიამ პირდაპირი დახმარების სახით საქართველოს 1,2 მილიარდი ევრო გამოუყო. ამ სფეროში ყველაზე მთავარ გერმანულ ორგანიზაციებს წარმოადგენს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), რომლებსაც 2006 წლიდან საკუთარი ოფისები აქვთ გახსნილი თბილისში.

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და მასშტაბური რეფორმა, რომელიც გერმანიის მხარდაჭერით განვითრების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა, იყო საქართველოს სამართლისა და მართლმსაჯულების სისტემის

Seit den 1990er Jahren ist Georgien nunmehr Schwerpunktland der deutschen Entwicklungszusammenarbeit. Deutschland begleitet Georgien bei seinem politischen und wirtschaftlichen Transformationsprozess und auf dem Weg der Annäherung an die Europäische Union. Seit 1992 hat Deutschland dabei insgesamt 1,2 Mrd. Euro an direkten Hilfen überwiesen. Die wichtigsten deutschen Akteure vor Ort sind die Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) und die Kreditanstalt für Wiederaufbau (KfW), die beide seit 2006 mit Büros in Tiflis vertreten sind.

ახლიდან ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. გერმანელ ექსპერტებთან კონსულტაციების შემდეგ მიღებული იქნა საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობის ელემენტარული შემადგენელი ნაწილები, როგორიც არის, მაგალითად სამოქალაქო კოდექსი ან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, როგორც ყველა სახელმწიფოებრივი ქმედების საფუძველი, ასევე დარეგულირდა კერძო ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. გერმანიამ საქართველოს ასევე ხელი შეუწყო ამჟამინდელი კონსტიტუციის შემუშავებაში. ახალი კანონების მიღების პარალელურად განხორციელდა იურიდიული განათლების მასშტაბური რეფორმა, რომლითაც წლების განმავლობაში ათიათასობით მომავალმა იურისტმა ისარგებლა.

კიდევ ერთი დიდი პროექტი, რომელიც 1990-იან წლებში დაიწყო, იყო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განადგურებული ელექტრომომარაგების სისტემის აღდგენა, რაც ეკონომიკური განვითრების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა. აშენდა ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურა, საქართველო შეუერთდა ევროპის ელექტროენერგიის კავშირს. გერმანია საფრანგეთთან და ევროკავშირთან ერთად დღემდე ხელს უწყობს საქართველოს ენერგოსექტორის რეფორმას, რომელიც თანდათანობით უახლოვდება ევროკავშირის მოთხოვნებს.






*Weinanalyse im Weinlabor, das mit Unterstützung der GIZ eingerichtet wurde © GIZ*

*ღვინის ანალიზი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით შექმნილ ღვინის ლაბორატორიაში © გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება*

Eine der frühesten und umfangreichsten Reformen, die Deutschland im Rahmen der Entwicklungszusammenarbeit begleitete, ist die Neugestaltung des georgischen Rechts- und Justizsystems nach Ende der Sowjetunion. Mit deutscher Beratung wurden elementare Bestandteile der heutigen georgischen Rechtsordnung verabschiedet, so etwa das Zivilgesetzbuch, das privatwirtschaftliche Aktivitäten ermöglicht und reguliert, oder das Verwaltungsverfahrensgesetz als Grundlage allen staatlichen Handelns. Auch bei der Ausarbeitung der jetzigen Verfassung hat Deutschland unterstützt. Die neuen Gesetze wurden flankiert von einer umfassenden Reform der juristischen Ausbildung, die über die Jahre Zehntausende angehende Jurist*innen in Anspruch nahmen.

Ein weiteres Großprojekt, das schon in den 1990er Jahren begann, war der Wiederaufbau der nach dem Zerfall der Sowjetunion zusammengebrochenen Stromversorgung – eine entscheidende Voraussetzung für die wirtschaftliche Entwicklung. Übertragungsleitungen wurden gebaut, Georgien in den



*Berufsbildung und Privatwirtschafts-förderung in Georgien © GIZ*

*პროფესიული განათლება და კერძო სექტორის ხელშეწყობა საქართველოში © გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება*

kontinentaleuropäischen Stromverbund eingebunden. Bis heute setzt sich Deutschland, zusammen mit Frankreich und der EU, für die Reform des georgischen Energiesektors ein, der allmählich an EU-Vorgaben herangeführt wird. Dabei spielen erneuerbare Energien und Energieeffizienz eine wichtige Rolle.

Naturschutz und Biodiversität waren ebenfalls von Beginn an Gegenstand der Zusammenarbeit. Das Bewahren von Öko-systemen und biologischer Vielfalt trägt nicht zuletzt dazu bei, das touristische Potential Georgiens zu erhalten und damit eine wichtige Einkommensquelle für die Wirtschaft zu sichern. Über die Jahre wurden 12 Schutzgebiete eingerichtet. Deutschland beteiligt sich auch an deren Erhaltung: Der „Caucasus Nature Fund“, der 2007 mit deutscher Unterstützung gegründet wurde, trägt einen erheblichen Teil der Kosten für Pflege und Verwaltung der Schutzgebiete.



Ein weiteres Ergebnis der Zusammenarbeit mit Deutschland ist das neue georgische Forstgesetz. Es legt den Grundstein für die landesweite nachhaltige Verwaltung der natürlichen Ressource Wald. Mittlerweile bewirtschaftet Georgien 70.000 Hektar Wald mit neuen Methoden, die Klima und Artenvielfalt schützen. Außerdem wurden Hunderte „Waldarbeit-Spezialist*innen“ ausgebildet; die Berufsausbildung nach deutschem Vorbild steigert die Attraktivität dieser wichtigen Tätigkeit.

ასევე ბუნების დაცვა და ბიომრავალფეროვნება თავიდან-ვე წარმოადგენდა თანამშრომლობის საგანს. ეკოსისტემისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას ასევე წვლილი შეაქვს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შენარჩუნებაში და ამით ეკონომიკისთვის შემოსავლის მნი-შვნელოვანი წყაროს უზრუნველყოფაში. წლების განმავ-ლობაში მოეწყო 12 დაცული ტერიტორია. გერმანია ასევე ჩართულია მათი შენარჩუნების პროცესში: კავკასიის ბუნების ფონდი, რომელიც 2007 წელს გერმანიის მხარდაჭერით დაარსდა, აფინანსებს დაცული ტერიტორიების მოვლისა და მართვის ხარჯების დიდ ნაწილს.

გერმანიასთან თანამშრომლობის კიდევ ერთი შედეგი არის საქართველოს ტყის ახალი კოდექსი. ის წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ტყის ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის საფუძველს. ამჟამად საქართველოში 70 ათასი ჰექტარი ტყის მასივი იმართება ახალი მეთოდებით, რომლებიც იცავს კლიმატსა და ბიომრავალფეროვნებას. ასევე მომზადდა ასობით სპეციალისტი სატყეო დარგში. გერმანული მოდელის პროფესიული განათლება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ამ მნიშვნელოვან საქმიანობს.

დუალური პროფესიული განათლება გერმანულ-ქართული ურთიერთობების სამარკო ნიშანს წარმოადგენს. 2016 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ განათლებას ღვინის, მშენებლობის, ტურიზმის, ლოგისტიკისა

Die duale Berufsausbildung ist ein Markenzeichen der deutsch-georgischen Zusammenarbeit. Seit 2016 engagiert sich die GIZ für eine praxisorientierte Ausbildung in den Sektoren Wein, Bau, Tourismus, Logistik und Informationstechnik. Bereits 13 Berufsschulen und rund 80 Unternehmen beteiligen sich daran. Die Kooperation in der beruflichen Bildung schafft Perspektiven für junge Georgier*innen und versorgt den Arbeitsmarkt mit dringend benötigten Fachkräften, denn bei Inhalt und Ausrichtung der Lehrpläne werden die Bedarfe der georgischen Wirtschaft besonders berücksichtigt.

Der Deutsche Volkshochschulverband engagiert sich darüber hinaus im Bereich der Erwachsenenbildung. Schon 2002 eröffnete der Verband sein Büro in Georgien. Heute betreibt er 13 Bildungszentren in überwiegend ländlichen Regionen, in denen Menschen Computer-, Englisch- oder Nähkurse besuchen können. Die Zentren sind für die erwachsene Bevölkerung in diesen Regionen oft die einzige Chance zur Weiterbildung.

Doch auch Städte und Ballungsgebiete haben Deutschland und Georgien bei der Zusammenarbeit im Blick. Die KfW modernisiert in zahlreichen Projekten städtische Infrastruktur, wie etwa in Batumi, wo Deutschland die Erneuerung und Erweiterung der gesamten Trink- und Abwasserversorgung für die rund 200.000 Einwohner*innen finanziert hat. Durch den Aufbau einer modernen Abfall- und Kreislaufwirtschaft kann Müll effizienter und umweltschonender verarbeitet werden. Zum Klimaschutz trägt schließlich auch die Förderung von nachhaltiger Mobilität in Tiflis und Batumi bei.



და საინფორმაციო ტექნიკის სექტორებში. მასში უკვე ჩართულია 13 პროფესიული კოლეჯი და 80 კერძო კომპანია. პროფესიული განათლების დარგში თანამშრომლობა საქართველოს ახალგაზრდებს უხსნის პერსპექტივებს, ხოლო სამუშაო ბაზარს ამარაგებს საჭირო სპეციალისტებით, რადგან სასწავლო გეგმების შინაარსისა და მიმართულებების შემუშავების დროს გათვალისწინებულია საქართველოს კერძო სექტორის მოთხოვნილებები.

გარდა ამისა, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაცია მოღვაწეობს ზრდასრულთა განათლების მიმართულებით. ჯერ კიდევ 2002 წელს ასოციაციამ ოფისი გახსნა საქართველოში. ამჟამად მას აქვს ზრდასრულთა განათლების 13 ცენტრი, უმთავრესად რეგიონებში, სადაც ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ კომპიუტერის, ინგლისურის, ჭრა-კერვისა და სხვა სახელობო კურსები. ეს ცენტრები ხშირად ამ რეგიონებში გადამზადების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ზრდასრული მოსახლეობისთვის.

თუმცა გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში ასევე ქალაქები და მჭიდრო დასახლებებიც არის გათვალისწინებული. მრავალი სხვადასხვა პროექტით KfW ახორციელებს ურბანული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მაგალითად ბათუმში, სადაც გერმანიამ დააფინანსა სასმელი წლით მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების სრული განახლება და გაფართოება, რომლითაც დაახლოებით 200 ათასი მოქალაქე სარგებლობს. ნარჩენებისა და წრიული ეკონომიკის განვითარების შედეგად შესაძლებელია ნაგვის ეფექტიანად და გარემოსთვის უსაფრთხოდ გადამუშავება. კლიმატის დაცვაში ასევე წვლილი შეაქვს მდგრადი მობილობის მხარდაჭერას თბილისსა და ბათუმში.

# 30 Jahre Wirtschaftsbeziehungen

Die Wirtschaftsbeziehungen zwischen Georgien und Deutschland gehen bis ins 19. Jahrhundert zurück. Damals waren die Brüder Siemens beauftragt worden, eine Telegrafenleitung zu bauen, die eine schnelle Kommunikation zwischen England und Indien ermöglichen sollte. Ein Teilstück der Linie verlief von der preußisch-russischen Grenze über den Kaukasus nach Teheran in Persien und wurde nach nur zwei Jahren Bauzeit vollendet. Dazu trug vielleicht auch bei, dass Siemens für das Projekt eine eigene Niederlassung in Tiflis eröffnet hatte.

# ეკონომიკური ურთიერთობების 30 წელი

საქართველოსა და გერმანიას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება, როდესაც ძმებ სიმენსებს დაავალეს ტელეგრაფის ხაზის მშენებლობა, რაც ინგლისსა და ინდოეთს შორის სწრაფი კომუნიკაციის შესაძლებლობას შექმნიდა. ამ ხაზის ერთი მონაკვეთი პრუსია-რუსეთის საზღვრიდან კავკასიის გავლით თეირანამდე გადიოდა, რომლის მშენებლობაც სულ რაღაც ორ წელიწადში დასრულდა. ამაში ალბათ ასევე წვლილი შეიტანა იმ გარემოებამაც, რომ სიმენსებმა ამ პროექტისთვის თავიანთი ფილიალი გახსნეს თბილისში.

გერმანულ კომპანიებს დღესაც ხელსაყრელი პირობები ხვდებათ საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის. ბევრ მათგანს აქ საკუთარი ოფისები აქვთ გახსნილი. გეოგრაფიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მრავალ შესაძლებლობას იძლევა. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV),





*Bundespräsident Frank-Walter Steinmeier beim Besuch des Weinguts Schuchmann in Kachetien*
*© Bundesregierung/Jesco Denzel*

*გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი კახეთში შუხმანის მეღვინეობაში სტუმრობისას*
*© გერმანიის ფედერალური მთავრობა/იესკო დენცელი*

რომელიც საქართველოში 2007 წლიდან არსებობს, დაახლოებით 160 წევრს აერთიანებს, მათ შორისაა სამშენებლო, ლოგისტიკისა და მომსახურების სექტორებში მოღვაწე ცნობილი ფირმები. DWV ახორციელებს კომპანიების წარმომადგენელთა ვიზიტებს, ტრენინგებს და ეკონომიკურ ფორუმებს და ამით იგი გერმანულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

საქართველოს კარგი კლიმატური პირობები და ტურისტული პოტენციალი წლებია იზიდავს გერმანელ ბიზნესმენებს. კახეთში გერმანელმა მეღვინეებმა ღვინის კომპანიები დააარსეს, ტურისტულ სექტორში რამდენიმე კომპანიაა, რომლებიც გერმანულენოვან ტურისტებზეა ორიენტირებული. ბოლო წლების განმავლობაში გერმანელი ვიზიტორების რიცხვი საქართველოში მკვეთრად გაიზარდა. პანდემიამდე ცოტა ხნით ადრე ევროპელი ტურისტების უმეტესობა გერმანიიდან იყო. საქართველოს მზარდი პოპულარობა დასტურდება

Auch heute finden deutsche Unternehmen in Georgien günstige Bedingungen für Investitionen vor. Viele sind mit eigenen Büros vor Ort vertreten, die geografische Lage zwischen Europa und Asien, Schwarzem und Kaspischem Meer bietet zahlreiche Möglichkeiten. Die seit 2007 bestehende Deutsche Wirtschaftsvereinigung (DWV) hat rund 160 Mitglieder, darunter namhafte Firmen der Bau- und Logistikbranche und des Dienstleistungssektors. Mit ihren Unternehmensreisen, Trainings und Wirtschaftsforen ist die DWV ein geschätzter und engagierter Motor der deutsch-georgischen Wirtschaftsbeziehungen.

Die guten klimatischen Bedingungen und das touristische Potential Georgiens locken seit Jahren deutsche Geschäftsleute ins Land. In Kachetien haben sich deutsche Winzer niedergelassen und im Tourismussektor gibt es mehrere Reiseveranstalter, die sich auf deutschsprachige Tourist*innen spezialisiert haben. Die Zahl deutscher Besucher*innen ist in den letzten Jahren in die Höhe geschossen. Kurz vor der Pandemie kamen die meisten europäischen Tourist*innen in Georgien aus Deutschland. Die zunehmende Beliebtheit als Reiseland spiegelt sich auch in der Tatsache wider, dass Georgien 2023 offizielles Gastland der Internationalen Tourismus-Börse Berlin (ITB) sein wird.

ასევე იმ ფაქტით, რომ 2023 წელს ბერლინის საერთაშორისო ტურისტულ ბირჟაზე (ITB) საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება.

„Made in Germany“ საქართველოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ბევრმა ქართველმა მეწარმემ და სპეციალისტმა განათლება გერმანიაში მიიღო, საქართველოს თითქმის ყველა სუპერმარკეტში შეხვდებით გერმანულ პროდუქციას. გერმანიაში სულ უფრო ცნობადი ხდება ქართული ღვინო. გერმანიის ბაზარი ასევე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქართული თხილისთვის, ლურჯი მოცვისა და თაფლისთვის. მაღალი ხარისხის გამო ქართულ აგრარულ






*Deutsch-georgisches Wirtschaftsgespräch beim Besuch von Bundespräsident Frank-Walter Steinmeier in Georgien 2018*
*© Bundesregierung/ Jesco Denzel*

*გერმანულ-ქართული დისკუსია ეკონომიკურ საკითხებზე 2018 წელს გერმანიის პრეზიდენტის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის საქართველოში ვიზიტისას*
*© გერმანიის ფედერალური მთავრობა/იესკო დენცელი*

„Made in Germany“ genießt in Georgien einen hervorragenden Ruf. Viele georgische Unternehmer*innen und Fachkräfte haben ihre Ausbildung in Deutschland erhalten, in fast allen Supermärkten findet man deutsche Produkte. In Deutschland erfreuen sich georgische Weine einer zunehmenden Beliebtheit und auch für Haselnüsse, Blaubeeren und Honig ist Deutschland ein immer wichtigeres Abnahmeland. Dank ihrer hohen Qualität bieten georgische Agrarprodukte ein großes Potential für den Export in den europäischen Binnenmarkt. Grundlage dafür ist das im Rahmen des Assoziierungsabkommens mit der EU geschlossene Freihandelsabkommen, das seit 2016 in Kraft ist.

პროდუქტებს დიდი პოტენციალი გააჩნია ევროპის შიდა ბაზარზე საექსპორტოდ. ამას საფუძვლად უდევს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წელს შევიდა ძალაში.

Seit 2016 ist Georgien auch Partnerland des vom Bundesministerium für Wirtschaft und Klimaschutz geförderten Managerfortbildungsprogramms. Unter dem Motto „Fit for Partnership with Germany“ können junge georgische Führungskräfte für einige Wochen nach Deutschland reisen. Sie nehmen an Fortbildungen teil, erhalten Einblicke in die deutsche Unternehmenspraxis und knüpfen Kontakte zu vorwiegend mittelständischen deutschen Unternehmen.

Im Rahmen des Projekts „German Economic Team“ beraten deutsche Ökonom*innen zudem seit 2014 die georgische Regierung zu verschiedenen wirtschaftspolitischen Fragestellungen. Im regen Austausch mit georgischen Wissenschaftler*innen und Entscheidungsträger*innen erstellt das German Economic Team Studien und Analysen und begleitet so den Transformationsprozess der georgischen Volkswirtschaft.

Delegationsreisen geben deutschen Unternehmen die Möglichkeit, sich vor Ort ein persönliches Bild über den Wirtschaftsstandort Georgien zu machen. In Zusammenarbeit mit der Deutschen Wirtschaftsvereinigung und dem Ostausschuss der Deutschen Wirtschaft fand in den letzten Jahren eine Vielzahl von Unternehmensreisen für unterschiedliche Branchen statt. Bei Geschäftsreisen aller Art zeigt die Erfahrung: Wer einmal nach Georgien kommt, kehrt oft zurück und bleibt nicht selten für länger.

2016 წლიდან საქართველო ასევე გერმანიის ეკონომიკისა და კლიმატის დაცვის ფედერალური სამინისტროს მენეჯერთა საკვალიფიკაციო პროგრამის პარტნიორი ქვეყანაა. სლოგანით „Fit for Partnership with Germany“ მმართველი რგოლის ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს გერმანიაში გამგზავრების შესაძლებლობა ეძლევათ. ისინი მონაწილეობას იღებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, ეცნობიან გერმანული კომპანიების საქმიანობას და ამყარებენ კონტაქტებს უმთავრესად გერმანულ საშუალო საწარმოებთან.





*Impression vom Managerfortbildungsprogramm mit Georgien*
*© GIZ GmbH*

*მენეჯერთა ტრენინგების პროგრამა საქართველოსთან*
*© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება*

ასევე არსებობს პროექტი „გერმანელ ეკონომისტთა გუნდი“, რომლის ფარგლებშიც გერმანელი ეკონომისტები 2014 წლიდან კონსულტაციებს უწევენ საქართველოს მთავრობას სხვადასხვა ეკონიმიკურ საკითხებში. ქართველ მეცნიერებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან აზრთა აქტიური ურთიერთგაცვლის საფუძველზე გერმანელ ეკონომისტთა გუნდი ახორციელებს კვლევებსა და ანალიზს და ამ გზით ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესს.

გერმანელ ბიზნესმენთა დელეგაციის ვიზიტები შესაძლებლობას აძლევს მათ, ადგილზე გაეცნონ საქართველოს საინვესტიციო გარემოს. გერმანიის ეკონომიკურ გაერთიანებასთან და გერმანიის ბიზნეს-ასოციაციის აღმოსავლეთის კომიტეტთან თანამშრომლობით ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა დარგის გერმანელ ბიზნესმენთა მრავალი ვიზიტი განხორციელდა. საქმიანი ვიზიტების გამოცდილება აჩვენებს, რომ ის, ვინც საქართველოში ერთხელ მაინც ჩამოსულა, ხშირად კვლავ ბრუნდება აქ და დიდი ხნით რჩება.

# 30 Jahre militärische Zusammenarbeit

Mit der Aufnahme der diplomatischen Beziehungen wurde auch die Grundlage für die bilaterale militärische Zusammenarbeit zwischen der Bundeswehr und den georgischen Streitkräften gelegt. Diese nahm mit der Entsendung von Militärattachés konkrete Formen an. Der erste deutsche Militärattaché traf im Oktober 1995 in Georgien ein.

Die Bundeswehr unterstützte Georgien bereits vor fast zwanzig Jahren beim Aufbau der Streitkräfte mit Beratung, z.B. bei der Einrichtung der Unteroffizierschule, später auch materiell durch die Übergabe von Fahrzeugen und anderem Gerät. Seit 2015 sind Bundeswehroffizier*innen am Substantial NATO-Georgia Package beteiligt. Damit wird ein maßgeblicher Beitrag auf Georgiens Weg Richtung NATO-Mitgliedschaft geleistet.

# სამხედრო თანამშრომლობის 30 წელი

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით საფუძველი ჩაეყარა ასევე ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას ბუნდესვერსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის. ერთმანეთთან სამხედრო ატაშეების გაგზავნით ამ თანამშრომლობამ კონკრეტული ფორმები მიიღო. პირველი გერმანელი სამხედრო ატაშე საქართველოში 1995 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა.

ბუნდესვერმა თითქმის ოცი წლის წინ დაიწყო საქართველოს დახმარება შეიარაღებული ძალების განვითარებაში კონსულტაციების მეშვეობით. მაგალითად მან საქართველოს დახმარება გაუწია სერჟანტთა სკოლის შექმნაში, გადასცა სამხედრო მასალები, ტრანსპორტი და სხვა მოწყობილობები.






*Georgische Soldat*innen vor dem Abflug zur Ausbildung in Deutschland 2019 © Deutsche Botschaft Tiflis*

*ქართველი სამხედროები 2019 წელს გერმანიაში სწავლებებზე გამგზავრების წინ © გერმანიის საელჩო თბილისი*

Außerdem nimmt die Bundeswehr regelmäßig an Übungen in Georgien teil: Deutsche Soldat*innen übten mit ihren georgischen Partnern bei AGILE SPIRIT, NOBLE PARTNER und der NATO-Georgia Exercise.

Die Kooperation bei internationalen militärischen Missionen begann im Jahre 2003 für die NATO-Mission im Kosovo.

Besonders intensiv arbeiteten deutsche und georgische Soldat*innen in Afghanistan zusammen. Die Bundeswehr bildete ab 2014 vierzehn georgische Kontingente in Deutschland nur für den Einsatz dort aus. In Masar-e Sharif zeichnete sich im November 2016 eine georgische Kompanie bei der Abwehr eines Angriffs auf das deutsche Generalkonsulat aus. Die Kooperation in Afghanistan endete nach sieben Jahren im Sommer 2021 mit dem Abzug der deutschen und internationalen Truppen. Deutsche Flugzeuge waren dazu auf dem Flughafen von Tiflis stationiert. Die georgische Armee leistete dabei wertvolle logistische Unterstützung.

Insgesamt wurden seit 1995 mehrere Tausend georgische Soldat*innen in Deutschland für die Missionen im Kosovo und in Afghanistan sowie auf individuellen Kursen als Kommandeur*innen, Kompaniechef*innen, Zugführer*innen oder auch als Militärärzt*innen und Krankenpfleger*innen aus- und weitergebildet. Viele Freundschaften sind bei diesen manchmal mehrmonatigen Aufenthalten in Deutschland entstanden.

Dieser kurze Überblick zeigt: Die militärische Zusammenarbeit war und ist ein wichtiger, unverzichtbarer Teil der bilateralen Beziehungen.

2015 წლიდან ბუნდესვერის ოფიცრები მონაწილეობენ ნატო-საქართველოს არსებით პაკეტში. ამით მათ დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე.

ბუნდესვერი ასევე რეგულარულად იღებს მონაწილეობას საქართველოში გამართულ სამხედრო წვრთნებში: ქართველ პარტნიორებთან ერთად გერმანელი ჯარისკაცები ვარჯიშობდნენ წვრთნებში AGILE SPIRIT, NOBLE PARTNER და NATO-Georgia Exercise.

თანამშრომლობა საერთაშორისო სამხედრო მისიებში 2003 წელს კოსოვოში, ნატოს მისიაში დაიწყო.

გერმანელი და ქართველი სამხედროები განსაკუთრებით ინტენსიურად ავღანეთში თანამშრომლობდნენ. 2014 წლიდან ბუნდესვერმა გერმანიაში თოთხმეტი ქართული კონტინგენტი მოამზადა მხოლოდ ავღანეთის მისიაში მონაწილეობის მისაღებად. ქართულმა ასეულმა თავი გამოიჩინა 2016 წლის ნოემბერში ქალაქ მაზარ-ი-შარიფში გერმანიის გენერალურ საკონსულოზე თავდასხმის მოგერიების დროს. ავღანეთში შვიდწლიანი თანამშრომლობა 2021 წლის ზაფხულში დასრულდა, როდესაც გერმანიისა და საერთაშორისო ჯარებმა ავღანეთი დატოვეს. ჯარების გამოყვანის დროს გერმანული თვითმფრინავები თბილისის აეროპორტში იყო განთავსებული. ქართულმა ჯარმა კი უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური დახმარება გაუწია გერმანელ სამხედროებს.



*Übergabe von LKW an die georgische Armee 2020*
*© Deutsche Botschaft Tiflis*

*ქართული ჯარისთვის სატვირთო მანქანების გადაცემა 2020 წელს*
*© გერმანიის საელჩო თბილისი*

1995 წლიდან გერმანიაში ათასობით ქართველმა სამხედრომ გაიარა მომზადება კოსოვოსა და ავღანეთის მისიებისთვის, ასევე სამხედრო მეთაურის, ასეულის მეთაურის, ოცეულის მეთაურის, სამხედრო ექიმებისა და ექთნების ინდივიდუალურ კურსებზე. სწორედ გერმანიაში ვიზიტების დროს, რომლებიც ხშირად რამდენიმე თვე გრძელდებოდა, ბევრი ქართველი და გერმანელი ერთმანეთს დაუმეგობრდა.

ეს მოკლე მიმოხილვა აჩვენებს, რომ სამხედრო თანამშრომლობა იყო და არის ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი.






Herausgeber:
Botschaft der Bundesrepublik Deutschland in Georgien
Nino Chkheidze Str. 38
0102 Tiflis
Georgien

გამომცემელი:
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში
ნინო ჩხეიძის ქ. 38
0102 თბილისი
საქართველო